აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2021 – 2027 წწ.- ის სტრატეგიული გეგმა
პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში

შესავალი

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ხედვას პროფესიული განათლების შესახებ. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შესაბამისი პერიოდების მიხედვით მომზადებული სამოქმედო გეგმა სპეციფიურად ასახავს კონკრეტულ ღონისძიებებსა და მათი განხორციელების პირობებს.

1. სამართლებრივი საფუძვლები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში 2021 – 2027 წწ-ის სტრატეგიული გეგმა:

- შემუშავებულია სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად;
- ითვალისწინებს საქართველოში პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს კანონმდებლობას, პროფესიულ განათლების სფეროში საერთაშორისო შეთანხმებებს და უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიულ გეგმას;

2. უნივერსიტეტის მისიის განაცხადი პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური და პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში, რისთვისაც პროფესიულ განათლებაში უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების, მასწავლებლებისა და დარგის კვალიფიცირებული სპეციალიტების ჩართულობით, ასევე დამსაქმებლებთან ურთიერთკავშირით უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ პირისათვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე მომზადების/ გადამზადებისა და უწყვეტი განათლების სერვისების მიწოდებას, რათა მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები და ხელი შეუწყოს მათ პროფესიული განვითარებას და საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციას, აგრეთვე ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებას.

3. უნივერსიტეტის ხედვა-განაცხადი პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში

უნივერსიტეტი ყველა დაინტერესებული პირებს სთავაზობს არსებული სტანდარტების შესაბამისი, სხვადასხვა დონის მრავალფეროვან და ხარისხიან როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს და უწყვეტი განათლების კურსებს, რომელთა დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიყენება ინოვაციური სწავლების მეთოდები და გააჩნია სამუშაო პრაქტიკის ეფექტიანი განხორცილებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ხოლო საგანმანათლებლო სივრცეები სათანადოდ არის აღჭურვილი.

4. ღირებულებები

ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები ჩამოყალიბებულია, რათა საფუძველი ჩაუყაროს ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებულ მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებას იმისათვის, რომ ცხადი გავხადოთ, თუ რას ველით საკუთარი თავისა და ერთმანეთისგან, რას ვქმნით საზოგადოებისათვის:

1. პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე - მართვის ყველა დონეზე ეფექტური ხელმძღვანელობის სისტემა და ხარისხის კულტურა აწსუ-ს თითოეული წევრის საქმიანობასა და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში;
2. ხარისხზე ორიენტირება - მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლების, ისევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში;
3. ღიაობა და მრავალფეროვნების პატივისცემა - უნივერსიტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა;
4. საქმიანობის კულტურა - უნივერსიტეტში არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს;
5. გუნდურობა - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია

5. სოციალური პასუხისმგებლობის განაცხადი

უნივერსიტეტის სოციალური პასუხიმგებლობის პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს და მდგრად განვითარებას.

მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამები. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ქვეშ, უნივერსიტეტი განავითარებს ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლებას.

უნივერსიტეტი უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ისე საზოგადოებაში. შესაბამისად, აწსუ-ს კურსდამთავრებულებს აქვთ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, აცნობიერებენ გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება შეხვდეთ სამუშაო ადგილებზე.

უნივერსიტეტი თავისი საქმიანობით გავლენას ახდენს ქალაქის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ხოლო თავის მხრივ რეგიონში არსებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ობიექტები გავლენას ახდენენ უნივერსიტეტის საზოგადოებაზე.

6. არსებული სიტუაცია და გამოწვევები

6.1. სასწავლებლის მოკლე აღწერა

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სწრაფად იცვლება. ბოლო წლების ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის განვითარება, ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ევროკავშირთან ასოცირების პროცესი და მასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები გავლენას ახდენენ შრომის ბაზარზე და ზრდიან მოთხოვნას პროფესიულ განათლებაზე.

უნივერსიტეტი, რომელსაც გააჩნია პროფესიული განათლებისათვის საჭირო ინსტიტუციური კავშირები, ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურა, ხელს უწყობს მსურველს შეიძინოს

პროფესიული ცოდნა, გამოიმუშაოს და/ან დახვეწოს შრომითი უნარ-ჩვევები წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის.

პროფესიულ განათლებასთან ერთად, უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს მოქნილი, მოკლევადიანი კურსების განვითარებას მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ფარგლებში. დღესდღეობით პროფესიული განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი გამორჩეული პრიორიტეტია. მიმდინარე რეფორმის მთავარი აქცენტებია ბიზნეს სექტორთან და ზოგადად დამსაქმებელთან მჭიდრო თანამშრომლობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება.

2015 წელს უნივერსიტეტმა ავტორიზაციის წესით მიიღო 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. აქედან 2016 წელს 10 პროგრამაზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა მიღება, ხოლო 2017 წლის საშემოდგომო მიღებისას მე-11 პროგრამაზე. გადაიდგა ნაბიჯები პროფესიული განათლების ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით.

2019 წელში მოხდა 9 პროფესიული პროგრამის დამატება.

2021 წლის მდგომარეობით უნივერსიტეტში სულ ხორციელდება 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მ.შ. 4 მილევად რეჟიმში), რომელზეც სწავლობს 500-მდე პროფესიული სტუდენტი. მათ შორის 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე განხორციელდა სამი პროფესიული პროგრამის მიხედვით 41 სტუდენტის მოზიდვა უნივერსიტეტში, 2019 წლის საგაზაფხულო მიღებისას ასევე სამ პროფესიულ პროგრამაზე 40 პროფესიული სტუდენტის, 2019 წლის საშემოდგომო მიღებისას 16 პროფესიული პროგრამაზე მოზიდული იქნა 257 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2020 წელს 10 პროფესიულ პროგრამაზე 155 პროფესიული სტუდენტი.

არსებულ 18 პროგრამაზე მიმდინარე ეტაპზე მიღების ნაკადების, პერიოდების მიხედვით 35 ჯგუფთან მიმდინარეობს სწავლება და ერთდროულად ხორციელდება სხვადასხვა ხანგრძლივობის 100-ზე მეტი მოდული. ჯამში პროგრამებზე ხორციელდება 363 მოდული, რომელსაც ახორციელებს მოწვეული 231 მასწავლებელი, რომელთაგან უმეტესობა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია.

პროგრამების განხორციელების ხანგრძლივობა განსხვავებულია და დროითი ფაქტორით მცირე ხაგნგრძლივობის პროგრამა 10 თვიანი, ხოლო ხანგრძლივი პროგრამა 19 თვიანია. საშუალოდ პროგრამების ხანგრძლივობა ძირითადში მერყეობს 12-15 თვის ფარგლებში.

უწყვეტი განათლების მიხედვით 2018-2020 წწ. განხორციელდა 37 ტრენინგ-მოდული, რომლის განხორციელებაში ჩართული იყო 60 ტრენერ-მასწავლებელი და რომლის ფარგლებში 1008 მსმენელი გადამზადდა, გაიარა ტრენინგ-მოდული.

პროფესიული პროგრამების განხორციელება 2020 წლამდე მიმდინარეობდა ფაკულტეტებზე. უნივერსიტეტში პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული მიზნების და ადმინისტრირების საკითხების ანალიზის გათვალისწინებით 2019 წლიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა სტრუქტურული ერთეულის დაფუძნება, რომელიც სრულად იქნებოდა კონცენტრირებული პროფესიულ განათლებაზე. შესაბამისად ამ მიმართულებით განხორციელდა რიგი აქტივობები, რის შედეგადაც 2020 წლის მარტიდან უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი.

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ფუნქციონირების დაწყებიდან განვლილ პერიოდში შეიქმნა და ნორმატიული სახე მიიღო ცენტრის სტატუსისა და ფუნქციონირების მარეგლამენტირებელმა ნორმატიულმა დოკუმენტებმა

- დებულება
- პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობა

- პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- საკონსულტაციო საბჭოს ფორმირების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესი
- საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა
- ტრენინგ მოდულების /კურსების ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშების წესი
- სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესი

და ასევე

- 2020 წლის ივლის-ოქტომბრის პერიოდში ცენტრის მიერ განხორციელდა უმნიშვნელოვანესი და საპასუხისმგებლო საქმე-პროცესი: 18 პროფესიული პროგრამიდან აქტიური 14 პროგრამის თვითშეფასების ანგარიშები იქნა მომზადებული და წარდგენილი ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6.2. გამოწვევები

საგანმანათლებლო საქმიანობის თანამედროვე რეალობა ხასიათდება გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ფაქტორები, ფინანსური კრიზისი, ფორს-მაჟორული გამოწვევები (COVID-19), ელექტრონული და დისტანციური სწავლების დანერგვა. აღნიშნულ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის სრულყოფის ეფექტიანი მექანიზმების ამუშავებასა და სწავლების ახალი, თანამედროვე ფორმების დანერგვას, ახალი სეგმენტების ათვისების აუცილებლობას, როგორებიცაა კორპორატიული მომსახურება, კონსულტირება, მარკეტინგული კვლევები და სხვა.

პროცესების გაღრმავებასთან ერთად, უნივერსიტეტის წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადების/გადამზადების, უწყვეტი განათლების განხორცილების საკითხებში ახალი მიზნები დგება. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია: პროფესიონალი კადრის მომზადება, რომელსაც შეეძლება თანამედროვე ბაზრის შეცვლილი მოთხოვნების პირობებში ეფექტიანად მუშაობა. აღნიშნული პროცესები ახალ შესაძლებლობებს აჩენს, რომელთაგან აღსანიშნავია სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების დივერსიფიკაცია, სწავლების ხარისხის ამაღლება, პროფესიული სტუდენტების მოზიდვით ფინანსური მდგრადობის ზრდა, ურთიერთობების განვითარება სასწავლებლებს შორის და ა.შ. თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, დისტანციური სწავლების განვითარებამ ხელმისაწვდომი გახადა საგანმანათლებლო მომსახურება, სადაც სხვადასხვა სასწავლებლები სთავაზობენ თავიანთ პროდუქტებს და მომსახურებებს ყველა სტუდენტს, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა და ეროვნული კუთვნილებისა.

6.3. გარემო (ჩართული მხარეები)

უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების/გადამზადების, ასევე უწყვეტი განათლების სერვისებს ახორციელებს ჩართულ მხარეებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. მრავალი წლის განმავლობაში აწსუ-მ პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა პროფესიულ ორგანიზაციებთან და კავშირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან. უდიდესი ყურადღება ექცევა თანამშრომლობას ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან, ქალაქისა და რეგიონის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან მათი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მიმართულებით.

უნივერსიტეტში არსებული პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი, როგორც საზოგადოების ფართო წრეებს, აგრეთვე რეგიონის ორგანიზაცია-დაწესებულებებს უწევს დახმარებას კვალიფიციური კადრების მომზადებასა და გადამზადებაში. ასევე, რეგულარულად წარმოებს შეხვედრები დამსაქმებლებთან მათი საჭიროებებისა და შრომის ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნივერსიტეტი აცნობიერებს რა საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ პასუხისმგებლობას ქალაქისა და რეგიონის წინაშე, ახდენს საკუთარი მისიის რეალიზებას და წარმოადგენს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ-ინტელექტუალურ ცენტრს რეგიონში.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე

- მაღალკვალიფიციური განმახორციელებელი რესურსი
- სწავლის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე ფოკუსი და კარგი სასწავლო გარემო
- მისაღები ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- პროფესიული განათლების სფეროში ქვეყნის მასშტაბით მოთხოვნადი პროგრამები
- არსებული კავშირები ბიზნეს სექტორთან და დამსაქმებლებთან
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებისა და განხორციელების გამოცდილება

სუსტი მხარე

- სათანადო გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის შეზღუდული ინფრასტრუქტურა და რესურსები
- დაბალი სასწავლო და კარიერული მოტივაციის მქონე სტუდენტების დიდი რაოდენობა
- არასრულად ათვისებული პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის პოტენციალი
- მოქმედი მასწავლებლების პროფესიული სწავლებისათვის საჭირო უნარებისა და პრაქტიკული გამოცდილების დონე

შესაძლებლობა

- პროფესიული განათლებისადმი მზარდი სახელმწიფო მხარდაჭერა და დაინტერესება
- ბიზნესის პოტენციური ინტერესები პროფესიული განათლების განვითარებაში
- პროფესიული განათლების კავშირი მცირე ბიზნესის განვითარებასთან და ეფექტურ თვითდასაქმებასთან
- სახელმწიფო დაფინანსების ზრდის პირობებში პროფესიული განათლება ხდება მეტად ხელმისაწვდომი
- ევროპული ინტეგრაციის პირობებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად ევროპული სტანდარტების, რეგულაციების დანერგვის მზარდი ტენდენცია, განსაკუთრებით გარემოს დაცვის, მშენებლობის, სურსათის უვნებლობის, მომხმარებელთა უფლებების მიმართულებით

საფრთხე

- რეგიონებიდან ახალგაზრდების მიგრაცია და ადგილებზე კლებადი მოსახლეობა;
- თანამედროვე ლიტერატურის სიმწირე ქართულ ენაზე და იმავდროულად უცხო ენების ცოდნის საჭირო დონე

- პროფესიული განათლების და სწავლების შესახებ საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა, ნაკლები მოტივაცია და სკოლების ბაზაზე სუსტი პროფორიენტაციის სისტემა/შესაბამისი სერვისები
- ბიზნესის ნაკლები ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ, საწარმოო პრაქტიკაზე პროფესიულ სტუდენტთა მისაღებად
- პრაქტიკის კვალიფიციურ ინსტრუქტორთა ნაკლები ხელმისაწვდომობა

8. სტრატეგიული მიზნები

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებია:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის გაუმჯობესება
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელის გაზრდა.

უნივერსიტეტი იზიარებს პროფესიული და უწყვეტი განათლებას სფეროში სწავლაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს და ცდილობს შექმნას ღირსეული სწავლის შესაძლებლობები ყველა მსურველისათვის:

- მრავალწლიან სასწავლო ტრადიციის გამოყენებით უპასუხოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს პროფესიულ განათლებაზე;
- შექმნას ყველა პირობა სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრების და პიროვნული განვითარებისათვის.
- ინსტიტუციური კავშირების გაღრმავებით უზრუნველყოს სრულფასოვანი პრაქტიკა და ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულების დასაქმებას;

9. სტრატეგიული მიმართულებები

უნივერსიტეტის პროფესიულ და უწყვეტი განათლების სფეროში 2021 - 2027 წლის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/გადამზადების, არაფორმალური განათლების აღიარების და უწყვეტი განათლების მიმართულებით**

მიზანი:

- პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება;
- პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- არაფორმალური განათლების აღიარების პროცესს დანერგვა;
- პროფესიული განათლების დისტანციური სწავლების ელემენტების შემუშავება და განვითარება;
- უწყვეტი განათლების დისტანციური სასწავლო კურსებისა და მოდულების შემუშავება და განვითარება.

ამოცანები:

1.1. პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/ გადამზადების პროგრამების ადმინისტრირებისა და ხარისხის მართვის შიდა მექანიზმის განვითარება

1.2. უწყვეტი განათლების კურსებისა და მოდულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება
1.3. შრომის ბაზარის პრიორიტეტული მიმართულების გამოვლენისა და პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების განვითარების მიზნით შრომის ბაზარის მოთხოვნების პერიოდული შესწავლა
1.4. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების შეფასება და განვითარება
1.5. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების ადაპტირება-შემუშავება და დანერგვა
1.6. არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება-დანერგვა/ აღიარების უფლების მოპოვება.
1.7. პროფესიული და უწყვეტი განათლების დისტანციური სწავლების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება და განვითარება
1.8. პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელებისათვის დისტანციური სწავლების ელემენტების შემუშავება და განვითარება
1.9. უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების დისტანციური სწავლების ელემენტების შემუშავება და განვითარება
1.10. პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების კურსდამთავრებულების ჩართვა პროფესიული განათლების განვითარებაში

ინდიკატორები:

- პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების გამოკითხვა სწავლის ხარისხით კუთხით
- 2026 წლის ბოლომდე 10-მდე პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავება-ადაპტირება და ავტორიზაცია, აქედან სულ მცირე 6 ამოქმედებულია და განხორციელებულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღება.
- 2026 წლის ბოლომდე დანერგილი იქნება პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების ფარგლებში დისტანციური სწავლების ელემენტები მიზანშეწონილობის გათვალისწინებთ;
- 2026 წლის ბოლომდე დანერგილი და ამოქმედებული იქნება უწყვეტი განათლების სწავლების არანაკლებ 5 ახალი კურსი/მოდული.
- 2026 წლის ბოლომდე დანერგილი იქნება უწყვეტი განათლების დისტანციური სწავლების ელემენტები მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.
- 2026 წლის ბოლომდე უნივერსიტეტი განახორციელებს არაფორმალური განათლების აღიარების პროცესს

2. მოტივირებული სტუდენტების მოზიდვა

მიზანი:

- მოტივირებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა;
- უნივერსიტეტის როგორც მაღალხარისხოვანი აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების ცნობადობის გაზრდა.

ამოცანები:

2.1. რეგიონის სკოლების უფროსკლასელებისათვის პროფესიული განათლების, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებადი პროფესიული პროგრამების და დამსაქმებლების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება

2.2. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებადი პროფესიული პროგრამების რეკლამა და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია გავრცელების სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით

2.3. სოციალური ქსელის მეშვეობით მულტიმედია კონტენტის გავრცელება პროფესიული განათლებისა და უნივერსიტეტში განხორციელებადი პროფესიული პროგრამების შესახებ

2.4. პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების შესახებ ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ გვერდში ინტეგრირება

ინდიკატორები:

- პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების პროფესიული სტუდენტებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების მსმენელების აწსუ-ს შესახებ ინფორმაციის ქონის ზრდადი ტენდენცია;
- ყოველწლიურად პირდაპირი კომუნიკაციის ღონისძიებების (შეხვედრები, ღია კარის დღე, საწარმოო ექსკურსია) განხორციელება;
- 2026 წლის ბოლოსათვის ყოველწლიურად პროფესიულ და უწყვეტი განათლების მისაღებად პროგრამების მიხედვით განაცხადების ოდენობის ზრდა;
- უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმებით და სოციალურ მედიის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციის ნახვის, მოწონებისა და გაზიარების მაჩვენებელი;

3. სტუდენტური სერვისების განვითარება

მიზანი:

- სტუდენტების კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა;
- კურსდამთავრებულთა ქსელის ფორმირების გზით მათი ინტეგრაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესებში

საქმიანობა:

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული კონკურსების ჩატარება

3.2. პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების პროფესიული სტუდენტებისათვის დასაქმებისა და კარიერული განვითარების სერვისის განვითარება

3.3. პროფესიული ორიენტაციისა და დაგეგმვის სერვისის განვითარება

3.4. პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების პროფესიული სტუდენტებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების კურსდამთავრებულების ქსელის ფორმირება და განვითარება

ინდიკატორები:

- პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამების პროფესიული სტუდენტების დასაქმების ზრდადი ტენდენცია მიღებული განათლების შესაბამისად;
- 2026 წლის ბოლომდე პროფესიული და უწყვეტი განათლების კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაერთიანებული არიან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ქსელში;

4. **პერსონალის პროფესიული განვითარება და ადამიანური რესურსების მოზიდვა**

მიზანი:

- სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კვალიფიცირებული მასწავლებლით, როგორც თეორიული მეცადინეობისათვის ასევე პრაქტიკისათვის;
- სასწავლო პროცესში ჩართულ მასწავლებლებს გააჩნიათ სათანადო ცოდნა სწავლების ინოვაციურ მეთოდებისა და სტუდენტის შეფასების საკითხებში;

საქმიანობა:

4.1. მოქმედი რეგულაციებისა და სტანდარტების გათვალისწინებით პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის შემუშავება, განახლება და დანერგვა

4.2. პროფესიული და უწყვეტი განათლების განხორციელებაში ჩართული მასწავლებლის შეფასების სისტემის განვითარება

4.3. პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გადამზადება პროფესიული სწავლების ინოვაციურ მეთოდების საკითხებში

4.4. მოწვეული პრაქტიკოსი მასწავლებლების გადამზადება სწავლების უნარ-ჩვევების, სწავლების ინოვაციურ მეთოდებისა და სტუდენტის შეფასების საკითხებში

4.5. მოდულების განმახორციელებელი კვალიფიციური, ახალი კადრების მოზიდვისა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების (კონკურსები, ტესტირება, შერჩევა,...) ჩატარება

4.6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანებთან მუშაობის უზრუნველსაყოფად პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების განხორციელებაში ჩართული სპეციალისტის/მასწავლებლების მომზადება

ინდიკატორები:

- 2026 წლის ბოლომდე მოზიდულია ყველა განხორციელებადი პროფესიული საგანმანთლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების როგორც თეორიის ისე პრაქტიკის შესაბამისი კვალიფიკაციის განმახორციელებელი სპეციალისტი/მასწავლებელი;
- 2026 წლის ბოლომდე გადამზადდება ყველა მოქმედი სპეციალისტი/მასწავლებელი სწავლებისა და შეფასების მეთოდებში;
- 2026 წლის ბოლომდე პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების/მოდულების განხორციელებაში

ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი გადამზადებული არის პროფესიული სწავლების ინოვაციურ მეთოდების საკითხებში.

5. **სასწავლო ინფრასტუქტურის განვითარება**

მიზანი:

- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და სასწავლო გარემოთი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებისათვის
- სასწავლო-საწარმოო ლაბორატორია-კლასტერების ჩამოყალიბება, მათ შორის შესყიდვებში არსებული პრობლემების აღმოფხვრა-შერბილების მიზნით
- ცენტრის ფარგლებში გონივრულობის გათვალისწინებით პროგრამების ერთი განხორციელების ადგილზე (ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის კორპუსში) თავმოყრა.

ამოცანები:

5.1. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საჭირო სასწავლო ინფრასტრუქტურის საჭიროებათა შეფასება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა

5.2. სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების სტუდენტებისათვის ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება

5.3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურისა და წიგნადი ფონდით შევსება-განახლება

5.4. პრაქტიკის ობიექტების გამოყენების ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის შეფასება და განვითარება

5.5. ახალი ლაბორატორია/სახელოსნო/სამუშაო მოედნების შექმნა

ინდიკატორები:

- ყველა მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური ბაზის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების ღონისძიებები აისახება სამოქმედო გეგმებში
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საჭიროებების განხორციელების სტაბილურობის მიზნით შესაბამისი უზრუნველყოფის წყაროების დივერსიფიცირება-მოძიება (უნივერსიტეტის შიდა ბიუჯეტი, გარედან მოზიდული რესურსები და დაინტერესულ პირთა ჩართულობა)

6. **ინსტიტუციური პარტნიორების ქსელის განვითარება**

მიზანი:

- უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების ქსელი მუდმივად იზრდება;
- პარტნიორი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ქსელი ფართოვდება

ამოცანები:

6.1. საერთაშორისო და ადგილობრივი დონორებისაგან დამატებითი ფონდების მოძიების მიზნით ქსელური მუშობის უზრუნველყოფა;

6.2. დარგობრივ კავშირებთან/ასოციაციებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობის განვითარება;

6.3. უნივერსიტეტის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული და უწყვეტი განათლების მიმართულებით თანამშრომლობის განვითარება;

6.4. პროფესიული განათლების საკითხებზე კონფერენციის ორგანიზება და/ან ჩართულობა;
6.5. ბიზნეს-კომპანიებთან კავშირის გაღრმავების მიზნით პროფესიული სტუდენტების და მსმენელების დასაქმების და კარიერული განვითარების შეხვედრების ორგანიზება (job fair);
6.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით დამსაქმებელთა შესახებ ინფორმაციის ბანკის ფორმირება და მუდმივი განახლება.

ინდიკატორები:

- პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების მზარდი რაოდენობა, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან პროფესიული განათლების საკითხებში, განსაკუთრებით პროფესიული სტუდენტების სტაჟირების კუთხით.
- 2026 წლამდე პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მიზნით უნივერსიტეტი განახორციელებს ტექნიკური დახმარების პროექტ(ებ)ს მოზიდვის ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მეთოდოლოგიის და/ან რესურსების განვითარებას.

10. სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშგების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ცვლილებების მომზადება

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის და შეფასების პროცედურის შესაბამისად. ცენტრის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამაბელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე.

წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების, სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და სტრატეგიის შემაჯამებელი შეფასების ანგარიშები ქვეყნდება აწსუ-ს ვებგვერდზე.